



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia

საზღვარგარეთ მცხოვრები  
თანამემამულეების როლი  
საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების  
ინტერნაციონალიზაციის პროცესში

თბილისი  
ივნისი 2017



გამოცემა მომზადებულია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის და მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის ერთობლივი პროექტის კვლევაზე დაფუძნებული ადვოკატირებით, ცნობიერების ამაღლებით, ქსელური მუშაობითა და ტექნოლოგიების გამოყენებით საქართველოში მიგრაციის მართვის განვითარება ფარგლებში.

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ.

**ავტორი:** მარიამ ქებურია

© საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია & მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი.

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ავტორი და პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

## სარჩევი

შესავალი . . . . .	3
მიგრაცია და განვითარება . . . . .	3
მაღალკვალიფიციური ემიგრანტების როლი მეცნიერების ინტერნაციონალიზაციის პროცესში. . . . .	5
UNESCO Science Report – ანგარიში საქართველოს შესახებ . . . . .	7
საქართველოს მეცნიერთა საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა – ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა „ჰორიზონტი 2020“ . . . . .	8
დიასპორის კომპონენტი პროგრამაში „ჰორიზონტი 2020“ . . . . .	10
სამეცნიერო დიასპორასთან თანამშრომლობის საერთაშორისო პრაქტიკა . . . . .	10
საქართველოს სახელმწიფო ინიციატივები მაღალკვალიფიციური დიასპორის ჩართულობის გასაძლიერებლად . . . . .	14
შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული კვლევები უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეების მონაწილეობით . . . . .	15
სამეცნიერო დიასპორის განვითარების პროცესში ჩართვის ხელშეწყობი და შემაფერხებელი ფაქტორები . . . . .	21
გამოყენებული მასალა . . . . .	23

# საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების როლი საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების ინტერნაციონალიზაციის პროცესში

მარიამ ქეჭურია

ნაშრომში აღწერილია საქართველოს მეცნიერების ინტერნაციონალიზაციის მიმდინარე პროცესი: გამოწვევები და შესაძლებლობები გლობალურ, კონკურენტულ გარემოში. უფრო კონკრეტულად კი, ყურადღება ეთმობა იმ ინიციატივებს, რომლებიც ხელს უწყობს საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების ჩართულობას საქართველოს მეცნიერთა საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების პროცესში.

## შესავალი

საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ინტელექტუალური რესურსი, წამყვან საერთაშორისო კვლევით ცენტრებსა და ინსტიტუტებში დაფუძნებული თანამემამულეების ცოდნა და პრაქტიკა მნიშვნელოვანია სამეცნიერო სფეროში ხელმისაწვდომი შესაძლებლობების ჯეროვანი გამოყენებისათვის. კვალიფიციური დიასპორის ჩართულობით შესაძლებელია საპროექტო წინადადებებზე მუშაობა, ერთობლივი პროგრამების განხორციელება, ცოდნისა და რესურსების გაცვლა და სხვა ორმხრივად სასარგებლო ინიციატივების დაგეგმვა. ამ მიმართულებით საქართველოს საინტერესო გამოცდილება აქვს, რომლის თავმოყრა და გაანალიზება წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოს სამეცნიერო სფეროს ინტერნაციონალიზაციის გზაზე.

ნაშრომში სხვა ინიციატივების მიმოხილვასთან ერთად, საუბარია ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ადმინისტრირებულ ერთ-ერთ საგრანტო კონკურსზე, რომელიც სამეცნიერო დიასპორის მობილიზებას და საქართველოში მყოფ აკადემიურ საზოგად-

ობასთან დაახლოებას ისახავს მიზნად. მიუხედავად მოკრძალებული მასშტაბისა, აღნიშნულ სახელმწიფო საგრანტო კონკურსში ჩართული ინსტიტუტების თავმოყრა შეგვიქმნის წარმოდგენას, მსოფლიოს რომელ კვლევით ცენტრებთან აქვთ თანამშრომლობა საქართველოს მეცნიერებს, რა გამოცდილება დაგროვდა უკვე და რა მიმართულებითაა საჭირო რესურსების მობილიზება.

სახელმწიფოების წინაშე დღეს დგას გამოწვევა, ადეკვატურად შეაფასოს მიგრაციის დინამიკა, შექმნას სხვადასხვა ხელშემწყობი ინიციატივა, რათა დიასპორას შესაძლებლობა მიეცეს მეტი წვლილი შეიტანოს წარმოშობის და მიმღები ქვეყნების წინსვლაში. ასეთი ხელშემწყობი სქემებისა თუ მიდგომების განსავითარებლად ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია საკუთარი დიასპორის ცოდნა.

## მიგრაცია და განვითარება

მიუხედავად საკითხის აქტუალობისა, მიგრაცია და განვითარება სუსტად არის წარმოდგე-

## ნილი ეროვნული განვითარების სტრატეგიის დოკუმენტებში.

გაზრდილი საკომუნიკაციო საშუალებები-სა და ტექნოლოგიური პროგრესის ფონზე, დიასპორის ჩართულობის ხელშესაწყობად სახელმწიფოებს შეუძლიათ შესაბამისი მექანიზმების განვითარება.

მიგრაციისა და განვითარების ურთიერთკავშირს მრავალი დისკუსია, მაღალი დონის დიალოგი, ანალიტიკური და სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტი ეთმობა. ცალკეული ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, აქტიურად ერთვებიან მიგრაციული პროცესების მართვის გაუმჯობესების საქმეში. იზრდება ადამიანთა მობილობაზე ჩატარებული კვლევების რიცხვი. ცხადი ხდება, რომ უსაფრთხო და კარგად მართული საერთაშორისო მიგრაცია მდგრადი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია.

საკითხის აქტუალობის მიუხედავად, საქართველოს ეროვნული განვითარების პოლიტიკის დოკუმენტებში მიგრაცია და განვითარება ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი. სხვადასხვა მიმართულებით განვითარების ეროვნულ სტრატეგიებში მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები ან საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების ჩართულობა არ არის ასახული. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებს და მათი განხორციელების გზებს 2014-2020 წლებისთვის, აღნიშნავს მხოლოდ შრომითი მიგრაციის პოლიტიკის შემუშავების საჭიროებას. ქვეყნის განვითარების პროცესში დიასპორის ჩართულობაზე დოკუმენტში ჩანაწერი არ არის.

ამასთანავე მნიშვნელოვანია აღინიშნოს საქართველოს 2016 -2020 წლების მიგრაციის სტრატეგია, რომელიც მთავრობის სათათბირო ორგანოს, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ფარგლებში შემუშავდა, ხაზს უსვამს ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროცესში მიგრაციის პოტენციალის მნიშვნელობას, ცალკე თავს უთმობს მიგრაციას და განვითარებას და მოიცავს ამოცანებს მაღალკვალიფიციური თანამემამულეების ჩართულობის გასაძლიერებლად.

2006 წელს გაეროს გენერალურმა მდივანმა წარადგინა ანგარიში – **საერთაშორისო მიგრაცია და განვითარება (International Migration and Development)**. მასში ხაზგასმულია, რომ საერთაშორისო მიგრაცია განვითარებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, როგორც წარმოშობის, ისე მიმღები ქვეყნისთვის. დოკუმენტში განხილულია მიგრაციის მრავალგანზომილებიანი ასპექტები, მათ შორის მთავრობათაშორისი თანამშრომლობა. დასაბუთებულია მაღალკვალიფიციური პირების საერთაშორისო მიგრაციის დადებითი კონტექსტი: მიგრანტებს თავიანთი ცოდნისა და უნარების გაუმჯობესების საშუალება ეძლევათ და მაშინაც კი, თუ ისინი სამშობლოში არ დაბრუნდებიან, შეუძლიათ საგანმანათლებლო, კულტურული, ეკონომიკური კავშირების გაძლიერება ორ ქვეყანას შორის.

2007 წელს საფუძველი ჩაეყარა გაეროს წევრი ქვეყნების ინიციატივას – **მიგრაციისა და განვითარების გლობალური ფორუმი (The**

ავტორები Ian Goldin, Geoffrey Cameron და Meera Balarajan თავიანთ წიგნში **Exceptional people – How migration shaped our world and will define our future (2011)** აღნიშნავენ: „**მსოფლიო ისტორიის მანძილზე მიგრანტები წარმოადგენდნენ პროგრესის წყაროს. მათი მოძრაობა იწვევდა ინოვაციას, იდეათა ფართო გავრცელებას, სიღარიბის დაძლევას და ხდებოდა გლობალური ეკონომიკის საფუძველი. თანამედროვე სამყაროში იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც აქვთ მიგრაციის მოტივაცია და უნარი მხოლოდ გაიზრდება“.**

<sup>1</sup> The Global Forum on Migration and Development web-page <https://gfmnd.org>

Global Forum on Migration and Development<sup>1)</sup>, რომელიც არის მაღალი დონის არაფორმალური პლატფორმა. მასში ჩართულია როგორც სამთავრობო უწყებათა წარმომადგენლები, ასევე სამოქალაქო საზოგადოების წევრები. ფორუმი შესაძლებელს ხდის, რომ სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკის განმსაზღვრელმა პირებმა წარმართონ დიალოგი მიგრაციისა და განვითარების კონტექსტში არსებული გამოწვევების შესახებ. პროცესში ჩართულები არიან დამოუკიდებელი ექსპერტები, არასამთავრობო და დიასპორულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. ყოველწლიურად ხდება სხვადასხვა ქვეყნის დადებითი პრაქტიკის გაზიარება, მიგრაციის პოლიტიკის გატარებისას ხარვეზების აღმოჩენა და საერთაშორისო პრიორიტეტების დადგენა.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) ერთ-ერთი იმ საერთაშორისო ინსტიტუციათაგანია, რომელიც სახელმწიფოებს ეხმარება მიგრაციასთან დაკავშირებით პოლიტიკის შემუშავებაში. პუბლიკაცია „Connecting with Emigrants – A Global Profile of Diasporas“ (2012) მიმოიხილავს 140 ქვეყნის დიასპორას, დაინტერესებულ პირებს აწვდის ინფორმაციას ემიგრანტების რაოდენობის და მათი დამახასიათებელი თვისებების შესახებ. პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ ემიგრანტებს წარმოშობის ქვეყნის განვითარებაში თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ. არსებობს შემაფერხებელი თუ ხელშემწყობი ფაქტორები, რომლებიც განვითარების პროცესში დიასპორის მონაწილეობას დიდწილად განსაზღვრავენ. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების რაოდენობა, მათი განათლებისა

და კვალიფიკაციის დონე, საქმიანობის სფერო, თუ რამდენად ინტეგრირებულები არიან ემიგრანტები მიმღებ ქვეყანაში, როგორი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარებაა წარმოშობის ქვეყანაში. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) თავის პუბლიკაციებსა თუ ანგარიშებში ხაზგასმით აღნიშნავს დიასპორის შესწავლის და მონაცემების გაუმჯობესების საჭიროებას. რამდენიმე წლის განმავლობაში OECD-მ და ორგანიზაციამ – the Agence Française de Développement (AFD) ამ მიმართულების განვითარებაში მნიშვნელოვანი ძალისხმევა ჩადო: შეაგროვა, გააანალიზა და ხელმისაწვდომი გახადა მონაცემები სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის აღწერებიდან ([www.oecd.org](http://www.oecd.org)).

## მაღალკვალიფიციური ემიგრანტების როლი მეცნიერების ინტერნაციონალიზაციის პროცესში

მეცნიერება სულ უფრო მობილური ხდება. სამეცნიერო პერსონალი ნაწილდება იქ, სადაც უფრო მეტი დინამიკაა, სადაც კვლევის ხელშემწყობი სისტემა უფრო მაღალ დონეზეა და მეცნიერებს საუკეთესო პირობები აქვთ შექმნილი პროექტების განსახორციელებლად.

მაღალკვალიფიციური პირები ინტერესდებიან ქვეყნებით, რომელთაც აქვთ შედეგებზე და განვითარებაზე ორიენტირებული სტრატეგიული ხედვა, სადაც განათლებისა

მიგრაციისა და განვითარების კონტექსტში, ერთ-ერთი ნამყვანი მიმართულებაა სახელმწიფოს ურთიერთობა თავის დიასპორასთან. დიასპორის შესახებ პუბლიკაციების ავტორები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ტერმინი „დიასპორა“ ხშირად ბუნდოვანი მნიშვნელობით გამოიყენება. დროთა განმავლობაში ტერმინმა გარკვეული შინაარსობრივი ცვლილება განიცადა, გაფართოვდა. დღეისათვის ის სხვადასხვა ფაქტორს აერთიანებს. არსებობს ავტორთა შეჯერებული ხედვა: „თეორიულად (დიასპორა) გულისხმობს ყველა იმ ადამიანს, რომელიც ინარჩუნებს მიკუთვნების რაღაც ფორმას წარმოშობის ქვეყანასთან. ეს ადამიანები ან თავად არიან ემიგრანტები ან დაიბადნენ ემიგრანტების ოჯახებში, ზოგიერთი მათგანი წარმოშობის ქვეყნის მოქალაქეობას ინარჩუნებს.“ („Connecting with Emigrants – A Global Profile of Diasporas“ (2012).



და მეცნიერების სისტემა გამართულია. კარიერის განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სურვილით მოტივირებული პროფესიონალები სწორედ ასეთ ქვეყნებს მიმართავენ. შედეგად, მეტი ნიჭიერი, გამბედავი და საერთაშორისო გამოცდილების მქონე უცხოელი მუშაობს მიმღები ქვეყნის კვლევით ლაბორატორიებსა თუ ცენტრებში. ისინი სწორედ ზემოაღნიშნული ქვეყნის სახელით ქმნიან ინოვაციურ პროდუქტებს, სამეცნიერო პროგრესს და განათლების მისაღებად მიმზიდველ გარემოს.


**UNESCO Science Report-ის მიხედვით<sup>2</sup>**, მსოფლიოს მაღალშემოსავლიანი ეკონომიკის ქვეყნები აგრძელებენ და კიდევ უფრო ზრდიან მეცნიერების განვითარებაში რესურსების ინვესტირებას. ამ გზით, ისინი აგრძელებენ ინტელექტუალური რესურსის მოზიდვას, ეკონომიკის ზრდას და განვითარებას.

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ (UNESCO) მეცნიერების შესახებ მსოფლიო ანგარიში მოამზადა – **Science Report<sup>3</sup>**. ანგა-

რიში თავმოყრილია ინფორმაცია სხვადასხვა ქვეყანაში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სფეროში არსებული ვითარების შესახებ. დოკუმენტის ერთ-ერთი მთავარი გზავნილია – **მეცნიერება დღითი დღე უფრო მობილური ხდება.**

2005-2013 წლებში საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა 46% – ით გაიზარდა: 2.8 მილიონი სტუდენტიდან – 4.1 მილიონამდე<sup>4</sup>. წამყვანი ქვეყნები ცდილობენ მიიზიდონ და შეინარჩუნონ ნიჭიერი სტუდენტები/მეცნიერები და განავითარონ ცოდნის ეკონომიკა.

საერთაშორისო სტუდენტების მობილიზებისა და ევროპის ფარგლებში არსებულ უნივერსიტეტებში მისაზიდად<sup>5</sup> ევროკავშირი გარკვეული სტრატეგიით მოქმედებს. კვლევასა და ინოვაციაზე მიმართული ფინანსების მიხედვით ამერიკის შეერთებული შტატები ლიდერობს. ამ მხრივ წამყვან ქვეყნებს შორის არიან ჩინეთი, იაპონია, გერმანია და კორეის რესპუბლიკა. კვლევასა და განვითარებაზე დანახარჯების მაღალი წილი მშპ-დან აქვს შვეიცარიას, სინგაპურს, შვედეთს, აშშ-ს და



მონაცემები UNESCO-ს ანგარიშიდან. უფრო ვრცლად იხილეთ ბმულზე: [https://en.unesco.org/sites/default/files/usr\\_2-12\\_preferred\\_destination\\_students.pdf](https://en.unesco.org/sites/default/files/usr_2-12_preferred_destination_students.pdf)

<sup>2</sup> მეცნიერების განვითარებაში რესურსების ინვესტირების შესახებ დიაგრამა იხილეთ ბმულზე: [https://en.unesco.org/sites/default/files/usr\\_1-7\\_share\\_gdp\\_gerd\\_researchers\\_publications.pdf](https://en.unesco.org/sites/default/files/usr_1-7_share_gdp_gerd_researchers_publications.pdf)

<sup>3</sup> Science Report – [http://en.unesco.org/unesco\\_science\\_report](http://en.unesco.org/unesco_science_report)

<sup>4</sup> დაწვრილებით იხილეთ ანალიზი – [https://en.unesco.org/sites/default/files/1-4\\_growth\\_international\\_students.pdf](https://en.unesco.org/sites/default/files/1-4_growth_international_students.pdf)

<sup>5</sup> საერთაშორისო აკადემიური მობილობის შესახებ დამატებითი მასალა იხილეთ UNESCO ანგარიშში: [https://en.unesco.org/sites/default/files/usr\\_2-12\\_preferred\\_destination\\_students.pdf](https://en.unesco.org/sites/default/files/usr_2-12_preferred_destination_students.pdf)

ისრაელს. შვეიცარია ინოვაციის მხარდაჭერის მიხედვით გლობალური ლიდერია, ასევე მნიშვნელოვან წილს უთმობს ფუნდამენტური მეცნიერებების განვითარებას, რა გზითაც უზრუნველყოფს მაღალი დონის ცოდნის ხელშეწყობას და საუნივერსიტეტო განათლების უმაღლეს ხარისხს. 2012 წლის მონაცემების მიხედვით, შვეიცარიაზე უცხოელი დოქტორანტების ყველაზე მეტი წილი მოდის: 51%. ქვეყნები, რომელთაც აქვთ შედეგებზე, განვითარებაზე ორიენტირებული სტრატეგიული ხედვა, განათლებისა, მეცნიერების გამართული სისტემა, კვალიფიციური პირებისათვის საინტერესო ხდება და მათ ირჩევენ დანიშნულების ქვეყნად.

## UNESCO Science Report – ანგარიში საქართველოს შესახებ

ევროკავშირის ინსტიტუტები, ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამები საქართველოსთვის საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის საკვანძო მექანიზმს წარმოადგენს. მნიშვნელოვანი პარტნიორია ამერიკის შეერთებული შტატები.

საქართველოში სახელმწიფოს მიერ კვლევასა და ინოვაციაში ჩადებული ინვესტიცია არის ძალიან მცირე და არასტაბილური.


UNESCO-ს ანგარიშში საქართველოს შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია რეგიონულ კონტექსტში. ცალკე თავი ეთმობა შავი ზღვის აუზის რეგიონს მიკუთვნებულ შემდეგ ქვეყნებს (Countries in the Black Sea basin): აზერბაიჯანი, ბელარუსი, თურქეთი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა. ანგარიშში აღნიშნულია, რომ შავი ზღვის აუზის ქვეყნებში სახელმწიფოს მიერ კვლევასა და ინოვაციაში ჩადებული ინვესტიცია ძალიან დაბალი და არასტაბილურია:

*„Investment in R&D remains low. Gross domestic expenditure on R&D (GERD) has never recovered in the post-Soviet states to the heady levels of 1989, when it represented 3% of GDP*

*in Ukraine and well over 1% in most other countries“* (კვლევასა და ინოვაციაში ინვესტიცია კვლავ დაბალია. პოსტ საბჭოთა ქვეყნებში მშპ-ის წილიდან დანახარჯი კვლევასა და ინოვაციაზე არ დაახლოებულა 1989 წლის დონეს, რომელიც უკრაინაში 3% -ს შეადგენდა, ხოლო სხვა ქვეყნებში 1%-ზე მეტს).

საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში სამეცნიერო სტატიებსა და პუბლიკაციებს საქართველოს მეცნიერები ყველაზე ხშირად აქვეყნებენ შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებში: ფიზიკა, მათემატიკა, ბიომეცნიერებები, ასტრონომია, სამედიცინო მეცნიერებები, ინჟინერია, ქიმია, სოფლის მეურნეობა, კომპიუტერული მეცნიერებები (დაჯამებულია 2008-2014 წლების მონაცემები, შეინიშნება ზრდის ტენდენცია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნების თვალსაზრისით).

Figure 12.1: Government expenditure on education, as a percentage of GDP (%) in Black Sea countries, 2012 or closest year



Source: UNESCO Institute for Statistics

UNESCO ანგარიშში ხაზგასმულია, რომ პოსტ-საბჭოთა ქვეყნების მეცნიერები პუბლიკაციაზე/ სტატიაზე მუშაობისას თანაბრად თანამშრომლობენ აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის სამეცნიერო საზოგადოებასთან. საქართველოსთვის #1 კოლაბორატორი არის აშშ, რომელსაც მოსდევს გერმანია, პოლონეთი, რუსეთის ფედერაცია, გაერთიანებული სამეფო და იტალია.

### The post-Soviet states balance collaboration with Eastern and Western Europe

Main foreign partners, 2008–2014 (number of papers)

	1st collaborator	2nd collaborator	3rd collaborator	4th collaborator	5th collaborator
Armenia	USA (1 346)	Germany (1 333)	France/Rus. Fed. (1 247)		Italy (1 191)
Azerbaijan	Turkey (866)	Russian Fed. (573)	USA (476)	Germany (459)	UK (413)
Belarus	Russian Fed. (2 059)	Germany (1 419)	Poland (1 204)	USA (1 064)	France (985)
Georgia	USA (1 153)	Germany (1 046)	Russian Fed. (956)	UK (924)	Italy (909)
Moldova	Germany (276)	USA (235)	Russian Fed. (214)	Romania (197)	France (153)
Turkey	USA (10 591)	Germany (4 580)	UK (4 036)	Italy (3 314)	France (3 009)
Ukraine	Russian Fed. (3 943)	Germany (3 882)	USA (3 546)	Poland (3 072)	France (2 451)

Source: Thomson Reuters' Web of Science, Science Citation Index Expanded, data treatment by Science-Metrix

Thomson Reuters' Web of Science წყარო მეცნიერთა საერთაშორისო კოლაბორატორების შესახებ. მონაცემები UNESCO-ს ანგარიშიდან. უფრო ვრცლად იხილეთ ბმულზე: [https://en.unesco.org/unesco\\_science\\_report](https://en.unesco.org/unesco_science_report)

## საქართველოს მეცნიერთა საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა – ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა „ჰორიზონტი 2020“

2016 წლის აპრილში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელი მოეწერა შეთანხმება<sup>6</sup>, რომლის მიხედვითაც საქართველო ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა „ჰორიზონტი 2020“<sup>7</sup>-თან ასოცირებული ქვეყანა გახდა. იმავე წლის 22 დეკემბერს ძალაში შევიდა საქართველოს პარლამენტის დადგენილება ზემოაღნიშნული შეთანხმების რატიფიცირების თაობაზე. შედეგად, საქართველოს მეცნიერებს, კვლევით ჯგუფებსა თუ დაინტერესებულ ორგანიზაციებს ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამაში – „ჰორიზონტი 2020“ თანაბარი მონაწილეობის შესაძლებლობა ეძლევათ, რაც გულისხმობს საკონკურსო წინადადებების დამოუკიდებლად წარდგენას, კვლევითი პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელობას, პროექტის კოორდინატორობას, წამყვან სამეცნიერო ინსტიტუციად (ე.წ. host institution) საქართველოში არსებული უნივერსიტეტის/კვლევითი ცენტრის მითითებას და ა.შ.

საქართველოს მეცნიერთა ნაწილს აქვს როგორც „ჰორიზონტი 2020“-ში მონაწილეო-

ბის, ასევე წინამორბედ ჩარჩო პროგრამებში (FP7, FP6) ჩართულობის კარგი გამოცდილება. სამეცნიერო საზოგადოების წინაშე დგას გამოწვევა: გამოიყენოს არსებული საერთაშორისო შესაძლებლობები, რესურსები და კონკურენტულ გარემოში მოიპოვოს დაფინანსება გამორჩეული, მაღალი ხარისხის კვლევების განსახორციელებლად. ამისათვის ერთ-ერთი საუკეთესო გზა არის დასავლეთის ცენტრებსა და სამეცნიერო ჯგუფებში მოღვაწე თანამემამულეების ჩართულობა და მათთან ერთად საპროექტო წინადადებებზე მუშაობა.

### რა არის პროგრამა „ჰორიზონტი 2020“ და რატომ არის მნიშვნელოვანი საქართველოს სამეცნიერო დიაპორის ჩართვა პროგრამაში მონაწილეობის დროს

„ჰორიზონტი 2020“<sup>8</sup> არის ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ყველაზე დიდი ჩარჩო პროგრამა, რომლის ბიუჯეტი შეადგენს 77 მილიარდ ევროს 2014-2020 წლებისათვის. პროგრამის განვითარების გზით ევროპის კომისია მიზნად ისახავს მსოფლიო მასშტაბის სამეცნიერო მიღწევების, აღმოჩენებისა და კვლევის ხელშეწყობას, ისეთი გარემოს წახალისებას, სადაც სხვადასხვა სფეროში მოღვაწე მეცნიერები, მენარმეები თუ სხვა ჩართული პირები ერთიანი ძალისხმევით

<sup>6</sup> [http://europa.eu/rapid/press-release\\_IP-16-1630\\_en.htm](http://europa.eu/rapid/press-release_IP-16-1630_en.htm)

<sup>7</sup> <https://ec.europa.eu/programmes/horizon2020>

<sup>8</sup> <http://horizon2020.ge>



ქმნიან პროდუქტს კვლევით ლაბორატორიაში და აწვდიან მას მომხმარებელს ბაზარზე. საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის პლატფორმის გარდა, „ჰორიზონტი 2020“ წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებას.

პროგრამა „ჰორიზონტი 2020“ სხვადასხვა მიმართულებისა და ქვე-პროგრამისაგან შედგება, რომლებიც დამოუკიდებლად აცხადებენ და ადმინისტრირებას უწევენ საგრანტო კონკურსებს. პირობების შესაბამისად, კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ როგორც ინდივიდუალურ პირებს, ასევე ორგანიზაციებსა და ჯგუფებს. მიმართულებების ფართო სპექტრისა და დიდი ფინანსური რესურსის გათვალისწინებით, კონკურენცია მაღალია. „ჰორიზონტი 2020“-ის ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღება შეუძლია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ყველა დაინტერესებულ პირს

მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან, ასევე ნებისმიერი სამეცნიერო მიმართულებიდან. მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი არის მაღალი ხარისხის კვლევა საერთაშორისო და ინტერდისციპლინური მეცნიერების ჩართულობით, რომელიც პასუხობს საზოგადოებრივ გამოწვევას და წვლილი შეაქვს მსოფლიოს განვითარებაში. აღსანიშნავია, რომ საქართველომ პროგრამასთან ასოცირებით სრული და ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან თანასწორუფლებიანი წვდომა მიიღო „ჰორიზონტი 2020“-ის ფინანსურ რესურსთან. ევროკომისიასთან დადებული შეთანხმების მიხედვით, საქართველოს, ისევე როგორც ევროკავშირის წევრ და პროგრამასთან ასოცირებულ ყველა სხვა ქვეყანას, ფინანსური წვლილი შეაქვს პროგრამის საერთო ბიუჯეტში. 2016 წელს აღნიშნული საწევრო თანხის დიდი ნაწილის დაფარვა მოხდა საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის დახმარებით.



დანიშნულების ქვეყნები განათლებისა და მეცნიერების სფეროში მოღვაწე ემიგრანტების ინტეგრირებას სხვადასხვა გზით უწყობენ ხელს. ერთ-ერთი ყველაზე მარტივი მაგალითი არის ევროკომისიის მიერ მხარდაჭერილი საინფორმაციო პორტალი **EURAXESS – Researchers in Motion** <https://euraxess.ec.europa.eu/>

**EURAXESS** არის პანევროპული ინიციატივა, რომელიც მეცნიერებს და დაინტერესებულ პირებს აწვდის ინფორმაციას ევროკავშირის ფარგლებში გადაადგილების, სამუშაოს მოძიების, დაფინანსების მოძიების, კვალიფიკაციის ამაღლების, კვლევითი პროექტისთვის პარტნიორის მოძიების, კარიერის განვითარების და მრავალი სხვა პრაქტიკული დეტალის შესახებ. ინფორმაციის მიღება შეუძლიათ მეცნიერებს, ბიზნესისა და სამეწარმეო სფეროს წარმომადგენლებს, კვლევით ასისტენტებს. მასალა მოიცავს სავიზო საკითხებს, გათვალისწინებულია ისეთი სოციალური საკითხები, როგორცაა პენსია, დაზღვევა. საინტერესოა, რომ **EURAXESS** ასევე მოიცავს ევროკომისიის ინიციატივას – მეცნიერება ლტოლვილებისათვის – **Science4Refugees**, რომელიც ეხმარება ლტოლვილ მეცნიერებს შესაფერისი სამუშაოს მოძიებაში.

ახალ ქვეყანაში სამეცნიერო კარიერის გაგრძელების შემთხვევაში, **EURAXESS** თავს უყრის ინფორმაციას ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან, საბანკო სისტემასთან, ჯანდაცვასთან და საოჯახო საკითხებთან დაკავშირებით. ამ დროისათვის მსოფლიოს მასშტაბით არსებობს **500 EURAXESS** ცენტრი და პორტალზე განთავსებულია **13 000-ზე მეტი** განცხადება კვლევის სფეროში დასაქმების შესახებ.

## დიასპორის კომპონენტი პროგრამაში „ჰორიზონტი 2020“

პროგრამაში „ჰორიზონტი 2020“ გამოყოფილია სპეციალური მიმართულება/სქემა, რომელიც სამეცნიერო დიასპორის რეინტეგრაციას უწყობს ხელს. საჭიროა, რომ შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, უნივერსიტეტების, კვლევითი ცენტრების თუ ორგანიზაციების მიერ მოძიებული იქნას ინფორმაცია მსგავსი ხელშემწყობი სქემების შესახებ და მომზადდეს განაცხადები.

პროგრამა ჰორიზონტი 2020-ის ერთ-ერთი მიმართულებაა მარია სკლადოვსკა-კიურის აქტივობები (MSCA)<sup>9</sup>, რომელიც ხელს უწყობს მეცნიერთა განვითარებას კარიერის ყველა ეტაპზე. MSCA სქემა მკვლევარებს სთავაზობს ცოდნის გაზიარების ფართო შესაძლებლობებს, მაღალკვალიფიციურ და ინოვაციურ ტრეინინგებს, მობილობას (2014-2020 წლების ბიუჯეტი – 6.2 მილიარდი ევრო). განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მკვლევართა დასაქმების შესაძლებლობებს, ინტელექტუალური საკუთრების დაცვას, კვლევის ეთიკის ასპექტებსა და შედეგების კომუნიკაციას. MSCA სქემის ფარგლებში დაფინანსებული პროექტები ვალდებული არიან სათანადო პირობები შექმნან ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების რეალიზაციისათვის. დაფინანსებულ ბენეფიციარებს აქტიური კომუნიკაცია უნდა ჰქონდეთ საზოგადოებასთან, შეძლონ მოქალაქეების ინფორმირება მეცნიერების მიღწევებისა და სიახლეების შესახებ.

**MSCA** აქტივობები ხელმისაწვდომია მეცნიერების ყველა დარგის წარმომადგენლებსათვის შემდეგი 4 ძირითადი პროგრამის მეშვეობით:

- ინოვაციური ტრეინინგის ქსელები – Innovative Training Networks (ITN)
- სტიპენდიები ინდივიდუალური მკვლევარებისათვის – Individual fellowships (IF)
- კვლევისა და ინოვაციის პერსონალის გაცვლა – Research and Innovation Staff Exchanges (RISE)
- თანადაფინანსება (მეცნიერების მხარდაჭერი ორგანიზაციების ორმხრივი თანამშრომლობა) – Co-funding

ამავე პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი სპეციალური მიმართულება – რეინტეგრაციის პანელი<sup>10</sup> (The reintegration panel) ითვალისწინებს საზღვარგარეთ მცხოვრები მაღალკვალიფიციური მიგრანტების სამშობლოში დაბრუნების ხელშეწყობას. პროგრამა ვრცელდება ევროპის და ასოცირებული ქვეყნების მასშტაბით. „ჰორიზონტი 2020“-თან ასოცირების შემდეგ რეინტეგრაციის კომპონენტი საქართველოს მეცნიერებისთვისაც გახდა ხელმისაწვდომი. პროგრამაში მონაწილეობის მსურველი უნდა იყოს სამშობლოდან მოშორებით მოღვაწე გამოცდილი მკვლევარი, რომელსაც თავისი კვლევითი პროექტის განხორციელება სამშობლოში არსებულ წამყვან კვლევით დაწესებულებაში (host institution) სურს.

## სამეცნიერო დიასპორასთან თანამშრომლობის საერთაშორისო პრაქტიკა

საქართველოს შეუძლია რამდენიმე ქვეყნის გამოცდილება გაიზიაროს სამეცნიერო დიასპორასთან თანამშრომლობის გაღრმავების თვალსაზრისით. მაგალითად, წარმატებული

<sup>9</sup> MSCA აქტივობებზე განაცხადის წარდგენა ხდება მონაწილეთა პორტალის მეშვეობით, კონკურსებს აქვთ საბუთების წარდგენის განსხვავებული ვადები. დანერგვითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://ec.europa.eu/research/mariecurieactions/> საქართველოში მარი სკლადოვსკა-კიურის აქტივობების ეროვნული საკონტაქტო პირია დოქტორი ზურაბ კილურაძე. ორგანიზაცია: კვლევების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრი. [zkigur@yahoo.com](mailto:zkigur@yahoo.com) [www.icarti.ge](http://www.icarti.ge)

<sup>10</sup> რეინტეგრაციის პანელის (The reintegration panel) შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-ის დოკუმენტში Guide for applicants – [http://ec.europa.eu/research/participants/data/ref/h2020/other/guides\\_for\\_applicants/h2020-guide-appl-msca-if\\_en.pdf](http://ec.europa.eu/research/participants/data/ref/h2020/other/guides_for_applicants/h2020-guide-appl-msca-if_en.pdf)

პრაქტიკის შედეგად, ირლანდიაში შეადგინეს დიასპორის ჩართულობის შესახებ გზამკვლევები. ერთ-ერთი სასარგებლო რესურსია კინგსლი აიკინსის და ნიკოლა უაიტის მიერ მომზადებული – **Global Diapsora Strategies Toolkit – Harnessing the power of global diasporas**<sup>11</sup> (პირველი გამოცემა 2011 წელი). ეს გზამკვლევი ელექტრონულად ხელმისაწვდომია. ასევე საინტერესო რესურსებია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) და მიგრაციის პოლიტიკის ინსტიტუტის (MPI) გამოცემა – **Developing a Road Map for Engaging Diasporas in Development, a handbook for policymakers and practitioners in home and host countries** (2011) და დიანა იონესკუს ნაშრომი – **Engaging Diasporas as Development Partners for Home and Destination Countries: Challenges for Policymakers** (2006).

### შვეიცარია

#### A Swiss Network of Scientific Diasporas – CODEV

A Swiss Network of Scientific Diasporas არის პროექტი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს კვალიფიციურ მიგრანტებზე და მათ როლზე განვითარების პროცესში. პროექტი შეისწავლის შვეიცარიაში მყოფ სამეცნიერო დიასპორას სამი განვითარებადი ქვეყნიდან – კოლუმბია, ინდოეთი და სამხრეთ აფრიკა. პროექტის ფარგლებში შემუშავდა ვრცელი პუბლიკაცია – **Scientific Diasporas as Development Partners – Skilled migrants from Colombia, India and South Africa in Switzerland: empirical evidence and policy responses** – Gabriela Tejada & Jean-Claude Bolay (eds). ავტორები აღნიშნავენ, რომ შერჩევა განაპირობა იმ გამოცდილებამ, რომელიც კოლუმბიას, ინდოეთს და სამხრეთ აფრიკას აქვთ მაღალკვალიფიციური კადრების საზღვარგარეთ გადინების თვალსაზრისით. ასევე, სამივე ქვეყანა იყენებს სხვადასხვა მექანიზმს სამეცნიერო დიასპორასთან კავშირის შესანარჩუნებლად, წარმოშობის ქვეყანაში პროგრესის ხელშესაწყობად. ასეთ ინიციატივებად ავტორები ასახელებენ სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულის შექმნას (ან არსებულის გაფარ-

თობას). აღნიშნავენ უნივერსიტეტებისა და კვლევითი ცენტრების წამყვან როლს ამ პროცესში, რადგან სამეცნიერო თანამშრომლობა განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. კვლევის თანახმად, სწორედ კოლუმბიამ და სამხრეთ აფრიკამ დაამკვიდრეს პირველად ტერმინი – სამეცნიერო დიასპორა (**Both South Africa and Colombia were among the first countries to introduce the notion of the scientific diaspora option.** გვ. 11).

შვეიცარიაში აკადემიურ სფეროში დასაქმებული კოლუმბიელების უმეტესობა სტუდენტური მობილობის შედეგად დამკვიდრდა მიმღებ ქვეყანაში. გარდა სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა, მათი გრძელვადიანი ემიგრაცია განაპირობა სამშობლოში სამეცნიერო საქმიანობისათვის რთულმა გარემომ, კვლევის რესურსებზე შეზღუდულმა წვდომამ, მასალებისა და აღჭურვილობის ნაკლებობამ, კვლევითი პოზიციებისა და გარკვეულ დისციპლინებში სადოქტორო პროგრამების ნაკლებობამ და ა.შ.

### კოლუმბია

მიმღებ ქვეყანაში ინტეგრირების შემდეგ, აკადემიურ სფეროში მოღვაწე კოლუმბიელები ქმნიან ასოციაციებს, როგორცაა **The Colombian Association of Researchers in Switzerland (ACIS)**, დაფუძნდა 1992 წელს), **The Caldas Network** (კოლუმბიელი მეცნიერებისა და ინჟინრების ქსელი საზღვარგარეთ, **The Caldas Network of Colombian researchers and professionals abroad**) და თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს კოლუმბიიდან. აღნიშნული გაერთიანებები კოლუმბიის აკადემიური პერსონალისა და ახალგაზრდა მეცნიერების ჩართვით ხელს უწყობენ ფართომასშტაბიანი საერთაშორისო პროექტების განვითარებას. **The Caldas Network** ცნობილია საერთაშორისო კოლაბორაციის ხელშეწყობი ინიციატივებით.

პროექტი **INVESTIGA**<sup>12</sup> ტექნოლოგიური რესურსების მეშვეობით კოლუმბიელ სამეცნიერო დიასპორას აკავშირებს სამშობლოში

<sup>11</sup> გამოცემა ხელმისაწვდომია ელექტრონულად ბმულზე: <http://diasporamatters.com/wp-content/uploads/2016/02/Diaspora-Toolkit-Book.pdf>

<sup>12</sup> <http://www.programainvestiga.org>

არსებულ საშუალო სკოლებთან. საზღვარგარეთ მცხოვრები კოლუმბიელი მეცნიერები თუ პედაგოგები ეხმარებიან მასწავლებლებს ინოვაციური მეთოდოლოგიით სწავლებაში, უზიარებენ მასალებს, სიახლეებს და მოსწავლეებში ზრდიან სწავლის მოტივაციას. სტატიაში *'iNVESTIGA: Connecting the Colombian Scientific Diaspora with Secondary Schools in Colombia'* პროექტის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ *'iNVESTIGA-ს* დაგეგმვის დროს იხელმძღვანელებს მსგავსი ელექტრონული კომუნიკაციის და ონლაინ პროექტების გამოცდილებით (*iNVESTIGA-ს* გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, ზემოაღნიშნული სტატიის თანაავტორი – **Ricardo Corredor-Jerez** მოღვაწეობს შვეიცარიაში, **LTS5-EPFL** სამეცნიერო ლაბორატორიაში). დაიგეგმა ვიდეოკონფერენციები და ტელეხიდეები. პროექტის გუნდი დაუკავშირდა საზღვარგარეთ მცხოვრებ მაღალკვალიფიციური კოლუმბიელების ნაწილს და სთხოვა საგანმანათლებლო პროექტში მონაწილეობა

უსასყიდლოდ. ამგვარი კომუნიკაცია და გამოცდილების გაზიარება დადებითად შეფასდა როგორც მეცნიერების, ასევე სკოლის მოსწავლეებისა და პედაგოგების მხრიდან.

### ირლანდია

დასაპორულო ორგანიზაციებსა და წარმატებულ ინიციატივებზე საუბრისას ხშირად მოჰყავთ ირლანდიის მაგალითი. დასაპორულო ინვესტიციების მოზიდვის, თანამემამულეებთან მჭიდრო კავშირის თვალსაზრისით, ირლანდია სანიმუშო ქვეყანაა. ირლანდიის განვითარების პროცესში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ თანამემამულეებს, მათ შორის მაღალკვალიფიციურ ემიგრანტებს დიდი წვლილი მიუძღვით.

ირლანდიელ მეცნიერთა ქსელი – **Network of Irish Scientists**<sup>13</sup> 2011 წელს აშშ-ში, ვაშინ-

### დაჯილდოება SFI St. Patrick's Day Science Medal Award

ირლანდიის სამეცნიერო ფონდი მთავრობის მიერ დაარსებული იურიდიული პირია და აფინანსებს ფუნდამენტურ და გამოყენებით მეცნიერებებს. ფონდის მისიაა ირლანდიის საზოგადოებისა და ეკონომიკის განვითარება მაღალი ხარისხის სამეცნიერო და საინჟინრო კვლევების დაფინანსების გზით. წელიწადში ერთხელ ფონდი აჯილდოვებს გამორჩეულ ირლანდიელ მეცნიერს და სამეწარმეო სფეროს წარმომადგენელს, რომელიც ცხოვრობს და მოღვაწეობს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

აკადემიური სფეროს და ინდუსტრიის წარჩინებული წარმომადგენელი კონკურსში მონაწილეობის მიღებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს, თუკი განსაკუთრებული მხარდაჭერა გაუწია ირლანდიაში მცხოვრებ მკვლევარებს სამეცნიერო ხელმძღვანელობით, რეკომენდაციით, თანამშრომლობით. ჯილდოს მიმღებად განიხილებიან კანდიდატები, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ირლანდიის სამეცნიერო სფეროს განვითარების საქმეში.

პოპულარული ჯილდოს გადაცემის ცერემონია ტარდება ირლანდიის ეროვნულ დღესასწაულზე – წმინდა პატრიკის დღეს. 2017 წლის ჯილდო გადაეცათ დოქტორ პირს ლიონსს (**Dr. Pearse Lyons**) – გლობალური ბიოტექნოლოგიური კომპანია **Alltech** დამფუძნებელსა და პრეზიდენტს (სამეცნიერო-კვლევითი კომპანია 1980 წელს დაარსდა და დღეის მონაცემებით მსოფლიოს 128 ქვეყანასთან თანამშრომლობს) და ვაშინგტონის უნივერსიტეტის სტატისტიკისა და სოციოლოგიის პროფესორს ადრიან რაფტერს (**Prof. Adrian E. Raftery**). პროფ. რაფტერი მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან სტატისტიკოსადაა აღიარებული. დაჯილდოების ცერემონიალი ქ. ვაშინგტონში გაიმართა. „გამორჩეულ“ ირლანდიელებს სამეცნიერო ფონდის ჯილდო **ირლანდიის პრემიერ მინისტრმა** გადასცა.

<sup>13</sup> დასაპორულო ორგანიზაციის ვებგვერდი – <http://wildgeesenetwork.org>



გტონში დაფუძნდა. იგი აერთიანებს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სფეროში მოღვაწე ირლანდიელებს. ქსელის დირექტორთა საბჭოს წევრები არიან აშშ-ის სხვადასხვა უნივერსიტეტში და სამეცნიერო ინსტიტუტებში მოღვაწე პროფესორები ([Virginia Tech](#) and [University of California Davis](#), [University of Maryland](#) and [Johns Hopkins University](#), [National Institute of Health- NIH](#), [Boston College](#)). ორგანიზაციას მხარს უჭერს ირლანდიის საელჩო ამერიკის შეერთებულ შტატებში. დიპლომატიური კორპუსის მხარდაჭერა ამგვარი ინიციატივების განხორციელებისას მნიშვნელოვანია. ორგანიზაცია ავრცელებს ინფორმაციას მეცნიერების სფეროში არსებული სიახლეების, შესაძლებლობების, კვლევითი ვაკანსიების, დაფინანსების შესახებ; პოპულარიზაციას უწევს წარმატებულ ირლანდიელ მეცნიერებს, პროექტებს. ორგანიზაციის წევრები – გამოცდილი და დამკვიდრებული პროფესორები მზად არიან მენტორობა გაუწიონ ახალგაზრდა ირლანდიელ დოქტორანტებს.

### ამერიკის შეერთებული შტატები

აშშ-ის ერთ-ერთი საჯარო უნივერსიტეტი ჯორჯიას შტატში – [Kennesaw State University](#) დაახლოებით 35 000 სტუდენტს აძლევს განათლებას. [Kennesaw State University](#) არის კარგი შეფასების მქონე სასწავლო დაწესებულება, რომელმაც მხოლოდ ბოლო პერიოდში გაამახვილა ყურადღება კვლევითი მიმართულების განვითარებაზე. უნივერსიტეტის ძლიერი მხარეა გამართული სასწავლო პროგრამები და ინფრასტრუქტურა. [Kennesaw State University](#)-ში დაფუძნებულია დიასპორის შესწავლის ცენტრი, რომელიც ეხმარება უნივერსიტეტს საერთაშორისო აღიარების მოპოვებაში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტებთან კავშირების დამყარებაში, ერთობლივი ინიციატივების წახალისებაში. დიასპორის ცენტრი განსაკუთრებულ ძალისხმევას უთმობს აფრიკის დიასპორასთან თანამშრომლობას და სტუდენტებს სთავაზობს ინტერდისციპლინურ სასწავლო პროგრამას – [The African and African Diaspora Studies \(AADS\) Program](#).

ამავე უნივერსიტეტში, განათლების კოლეჯში – [Bagwell College of Education](#) მუშაობს

პროფესორი, წარმომადგენელი ნიგერიიდან. დიასპორის საკითხებზე საუბრისას [Dr. Ikechukwu Ukeje](#) აღნიშნავს, რომ აფრიკის დიასპორის წარმომადგენელია და არა რომელიმე ცალკეული ქვეყნის. ძრითადი საქმიანობის გარდა, [Dr. Ikechukwu Ukeje](#) მნიშვნელოვან დროს უთმობს უნივერსიტეტისა და აფრიკის ქვეყნების უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის დამყარებას. ეს საქმიანობა მოიცავს შემდეგი ინიციატივების განვითარებას:

- [Kennesaw State University](#)-ის სტუდენტებისათვის მოკლე კურსების განვითარება აფრიკის კონტინენტის ქვეყნების კულტურის, ბიომრავალფეროვნების, ენის და სხვადასხვა საკითხების შესახებ. ასეთი კურსები გულისხმობს აფრიკის ქვეყნებში სტუდენტების გამგზავრებას და მათთვის საინტერესო საკითხების ადგილზე შესწავლას. მაგალითად, ორკვირიანი კურსი, რომელიც 2017 წელს არის დაგეგმილი – [East Africa: Uganda and Tanzania: Culture, Language and Biodiversity](#) სტუდენტებს უგანდას და ტანზანიას გააცნობს.
- სტუდენტებისა და პროფესორების გაცვლა [Kennesaw State University](#)-სა და აფრიკის სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებს შორის. [Dr. Ikechukwu Ukeje](#)-ს მონაწილეობით, [Kennesaw State University](#)- აფრიკის ქვეყნების სასწავლო დაწესებულებებთან აწარმოებს მოლაპარაკებას. მხარეები თანხმდებიან მასწავლებლებისა და სტუდენტების გაცვლის პირობებზე და თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ იწყებენ ინიციატივის განხორციელებას. დღეისათვის [Kennesaw State University](#)-ს ოცზე მეტი ასეთი მემორანდუმი აქვს გაფორმებული. მაგალითად, 2017 წლის თებერვლში ხელი მოეწერა შეთანხმებას [Kennesaw State University](#)-სა და [The University of Lagos](#) (ნიგერია) შორის. თანამშრომლობის ასეთი სქემა აფრიკის ქვეყნების სასწავლო დაწესებულების პერსონალს კვალიფიკაციის ზრდის და განვითარების პერსპექტივას აძლევს. [Dr. Ikechukwu Ukeje](#)-მ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მონვეული პედაგოგები გარკვეულ კონსულტაციას/კვალიფიკაციის ამაღლებას გადიან სანამ [Kennesaw State University](#)-ს რომელიმე კურსის წასაკითხ

ხად აუდიტორიაში შევლენ. ხშირად მათ ადგილობრივ პროფესორებთან ერთად მიჰყავთ ლექცია. ამ გზით დროებით მონ-ვეული მასწავლებლების მეთოდოლოგია უახლოვდება ამერიკულ უნივერსიტეტში დანერგილ პრაქტიკას.

- სხვადასხვა თემატიკაზე კონფერენციების/სამუშაო შეხვედრების ორგანიზება როგორც Kennesaw State University-ში, ასევე აფრიკის ქვეყნებში. Dr. Ikechukwu Ukeje ჩართულია აფრიკის ქვეყნებში პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთობლივად დაგეგმილ ნებისმიერი თემატიკის კონფერენციების ორგანიზებაში. მობილიზებას უწევს ამერიკიდან ფაკულტეტის წევრების თუ სტუდენტების ჯგუფს, ეხმარება სამგზავრო დოკუმენტაციის თავმოყრაში (მაგ. აშშ-ის მოქალაქეებს ნიგერიაში გასამგზავრებლად ვიზა ესაჭიროებათ) და სხვა მნიშვნელოვანი საორგანიზაციო საკითხის მოგვარებაში.

აშშ-ის ერთ-ერთი სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ძალისხმევა ცხადად აჩვენებს დიასპორის თითოეული ჩართული წარმომადგენლის როლს განათლების და მეცნიერების სფეროს განვითარების და ინტერნაციონალიზაციის პროცესში. მსგავსი გამოცდილება უცხო არ არის საქართველოსთვის.

## საქართველოს სახელმწიფო ინიციატივები მაღალკვალიფიციური დიასპორის ჩართულობის გასაძლიერებლად

საქართველოს საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის მრავალნაირი პრაქტიკა აქვს. გატარებულ ღონისძიებათა შორისაა ინიციატივები მაღალკვალიფიციური მიგრანტების და დიასპორული ორგანიზაციების მონაწილეობით. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ფუნქციონირების მანძილზე (2008–2016) ღონისძიების ფარგლებში

საქართველოს არაერთი ავტორი და ექსპერტი ეწვია. მათ შორის იყვნენ კინგსლი აიკისნი და მარტინ რასელი ორგანიზაციიდან Diaspora Matters<sup>14</sup>, კეტლინ ნიულენდი მიგრაციის პოლიტიკის ინსტიტუტიდან (Migration Policy Institute<sup>15</sup>), პროფ. რობინ კონი და ფრენკ დიუველი ოქსფორდის უნივერსიტეტიდან, პროფ. ბრანკა ლიკიკ ბრბორიცი (Branka Likić Brborić) Linköping University-ს მიგრაციის კვლევის ინსტიტუტიდან, ვერდან ჯიკიცი (Verdan Džihic) ავსტრიის საერთაშორისო საქმეთა ინსტიტუტიდან და მრავალი სხვა სპეციალისტი. ქართული დიასპორის ჩართულობის გასაძლიერებლად მათ რეკომენდაცია გასცეს როგორც დისკუსიის თუ საჯარო ლექციის ფორმატში, ასევე წერილობითი ანალიზის სახით. მეცნიერების ინტერნაციონალიზაციის სფეროში არსებული გამოწვევების საპასუხოდ მნიშვნელოვანია საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გაცნობა და საქართველოში დაგროვილი პრაქტიკის გათვალისწინება. დღევანდელ მსოფლიოში, სადაც აკადემიური და სამეცნიერო სფეროს მიღწევები არ შემოიფარგლება გეოგრაფიით და ხდება სრულიად გლობალური ფენომენი, საქართველოს მეცნიერთა დასამკვიდრებლად ქართული დიასპორა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ძალაა.

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ კვლევისა და მეცნიერების ინტერნაციონალიზაცია დასახელებულია საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტულ მიმართულებად. ფონდი ადმინისტრირებას უწევს რამდენიმე საერთაშორისო პროგრამას. ამავდროულად, ფონდის მიერ გამოცხადებული ეროვნული კონკურსების უმეტესობა შინაარსობრივად მხარს უჭერს კონკურსებში საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისებას: მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ექსპერტების მოწვევას, საქართ-

<sup>14</sup> <http://www.diasporamatters.com>

<sup>15</sup> <http://www.migrationpolicy.org>

ველოს მეცნიერთა, მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერთა, მობილობას, სტაჟირებას საზღვარგარეთის წამყვან კვლევით ცენტრებში და ა. შ. მეცნიერების ინტერნაციონალიზაციის პროცესში უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების ჩართულობა მნიშვნელოვნად მიაჩნიათ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში. საერთაშორისო სამეთვალყურეო საბჭოს რიგით მეორე და მესამე სხდომაზე (თებერვალი 2016, ივლისი 2016) სწორედ ეს საკითხი გაჟღერდა, როგორც სამომავლოდ აუცილებლად განსავითარებელი მიმართულება. დიასპორის გააქტიურების საჭიროება ხაზგასმულია საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიის და ინოვაციის სისტემის პოლიტიკის საექსპერტო ანალიზის დოკუმენტშიც, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის სარეკომენდაციო დოკუმენტია და ფართოდ ვრცელდება სამეცნიერო საზოგადოებაში.

## შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული კვლევები უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეების მონაწილეობით

საგრანტო კონკურსი ხელს უწყობს უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში მოღვაწე თანამემამულე მეცნიერებთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას, მათი გამოცდილების გაზიარებას და ამავდროულად საქართველოს კვლევითი ინსტიტუციების დაახლოებას საერთაშორისო სტანდარტებთან.

საგრანტო კონკურსის ფარგლებში გაძლიერდა თანამშრომლობა ორ ჯგუფს შორის: საქართველოში მოღვაწე მეცნიერთა ჯგუფსა და საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ იმ კვლევით ცენტრებს შორის, სადაც ჩვენი თანამემამულე მეცნიერი მოღვაწეობს.

ნაშრომში წარმოდგენილი მასალა არ არის სრულყოფილი და საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებას ბევრად უფრო მეტ ცენტრთან თუ მეცნიერთან აქვს წარმატებული თანამშრომლობა მსოფლიო მასშტაბით. ამ შემთხვევაში გაზიარებულია ინფორმაცია

## ერთ-ერთი კონკრეტული სახელმწიფო საგრანტო კონკურსის ფარგლებში არსებული საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ.

შეგვიძლია გავეცნოთ, თუ რომელი კვლევითი უნივერსიტეტები/ცენტრები ინტერესდებიან საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან ერთობლივი კვლევითი პროექტის განხორციელებაში. მონაცემების მიხედვით ინსტიტუციათა შორის ყველაზე მეტი ერთობლივი პროექტი განხორციელებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს. ეს იმითაც აიხსნება, რომ ორივე სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთიანდება მრავალი კვლევითი ცენტრი, რომლებიც შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში საგრანტო კონკურსზე საპროექტო წინადადებას წარადგენენ სწორედ უნივერსიტეტის სახელით. აღნიშნული ორი უნივერსიტეტის გარდა, წარმოდგენილია კვლევითი ცენტრების ფართო სპექტრი, რაც სამეცნიერო დიასპორასთან თანამშრომლობის მიმართ დიდ ინტერესზე მიუთითებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ადმინისტრირებას უწევდა სახელმწიფო საგრანტო კონკურსს – კვლევები უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეების მონაწილეობით. თავისი შინაარსითა და ამოცანებით ეს სახელმწიფო საგრანტო კონკურსი გამორჩეულია არა მხოლოდ საქართველოს სამეცნიერო სივრცეში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. კონკურსი მიზნად ისახავდა უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში მოღვაწე თანამემამულე მეცნიერებთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას, მათი გამოცდილების გაზიარებას და ამავდროულად საქართველოს კვლევითი ინსტიტუციების დაახლოებას საერთაშორისო სტანდარტებთან. სახელმწიფო საგრანტო კონკურსის დებულების თანახმად „უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევების მეშვეობით საქართველოში მომუშავე მკვლევარებს ეძლევათ შესაძლებლობა, უკეთ გაეცნონ უცხოეთის წამყვან ქვეყნებში არსებულ სამეცნიერო სიახლეებს და აითვისონ თანამედროვე კვლევითი ტექნოლოგიები. ამასთანავე, უცხოეთში მცხოვრებ წარმატებულ თანამემამულე



მეცნიერებს მუდმივი საქმიანი კონტაქტის შესაძლებლობა ეძლევათ სამშობლოსთან და თავის ცოდნასა და გამოცდილებას მოახმარენ საქართველოში მეცნიერებისა და კვლევების დონის ამაღლებას. დაფინანსებული პროექტის ხანგრძლივობა განსაზღვრული იყო 6-36 თვე (დანვრილებითი ინფორმაცია საგრანტო კონკურსის პროგრამის, პირობების, ბიუჯეტის და განაცხადის წარდგენის სხვა დეტალების შესახებ ხელმისაწვდომია შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტებში, მოცემულია წინამდებარე ნაშრომის თანდართულ ბმულებში). დაგეგმილი სტრუქტურული და შინაარსობრივი ცვლილებების გათვალისწინებით, სავარაუდოდ აღნიშნული კონკურსი გაერთიანდება ორ მსხვილ სახელმწიფო საგრანტო კონკურსთან და საზღვარგარეთ მოღვაწე მაღალკვალიფიციურ დიასპორას კვლავ ექნება შესაძლებლობა, საქართველოში არსებულ კვლევით ინსტიტუციებთან და ჯგუფებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსებში.

2011- 2016 წლების განმავლობაში უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეების მონაწილეობით შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მრავალი საგრანტო კონკურსი დაფინანსდა. თითოეული პროექტი გულისხმობს თანამშრომობას ორ ჯგუფს შორის: ერთის მხრივ საქართველოში მოღვაწე მეცნიერთა ჯგუფი, ხოლო მეორეს მხრივ კვლევითი ერთეული საქართველოს ფარგლებს გარეთ, სადაც ჩვენი თანამემამულე მეცნიერი მოღვაწეობს.

მონაცემების მიხედვით საქართველოს კვლევით ინსტიტუციებს და მეცნიერთა ჯგუფებს ყველაზე ხშირად სამეცნიერო თანამშრომლობა აქვთ კვლევით ცენტრებთან ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, შვედეთში, გაერთიანებულ სამეფოში, საფრანგეთში, იტალიაში, შვეიცარიაში. სწორედ ამ ქვეყნებში არის წარმოდგენილი საქართველოს სამეცნიერო დიასპორის ის ნაწილი, რომელიც სამშობლოში არსებულ უნივერსიტეტებთან კოლაბორაციულ პროექტებზე მუშაობენ. შემთხვევითი არ არის, რომ UNESCO-ს მსოფლიოს მეცნიერების ანგარიშში სწორედ ეს ქვეყნები სახელდებიან მეცნიერებისა და ინოვაციის სფეროში ინვესტიციის მხრივ წამყვან სახელმწიფოებად. საქართველოს მაღალკვალიფიციური სამეცნიერო-აკადემიური პერსონალის ნაწილი საქმიანობის გასაგრძელებლად სწორედ აღნიშნულ ქვეყნებში გაემგზავრა.

მართალია, ეს არის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხოლოდ ერთი საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტების საფუძველზე შედგენილი ინფორმაცია, მაგრამ იგი გარკვეულ სურათს გვაძლევს. აშშ-სა და დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში მოღვაწე თანამემამულეთა ჩართულობით კვლევითი პროექტების განხორციელების გამოცდილება არსებობს. წარმატების მიღწევის მიზნით, ამ ჯგუფების ჩართვა და მათი მეშვეობით სხვა სამეცნიერო საზოგადოებასთან კოლაბორაციის პერსპექტივა გაჩნდა.



**2011-2016\* წლებში უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეების მონაწილეობით დაფინანსებულ პროექტებში ჩართული უნივერსიტეტები/კვლევითი ცენტრები**

**2011 წელი**

კვლევითი ინსტიტუცია საქართველოში	კვლევითი ინსტიტუცია საზღვარგარეთ
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	<ul style="list-style-type: none"> <li>√ CERN – the European Organization for Nuclear Research</li> <li>√ Forschungszentrum Jülich</li> <li>√ Academy of Sciences of the Czech Republic</li> </ul>
საქართველოს ძილის კვლევისა და ძილის მედიცინის კავშირი	√ Medical University of Innsbruck
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	√ Institute of Mathematics and Physics (Sciences Faculty) of the Siedlce University
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	√ University of Bonn
თბილისის მათემატიკური მეცნიერებების ცენტრი	√ The College of Staten Island, senior college within The City University of New York (CUNY)
სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა ცენტრი	√ The US National Center for Toxicological Research
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	√ General Engineering Research Institute (GERI)

**2012 წელი**

კვლევითი ინსტიტუცია საქართველოში	კვლევითი ინსტიტუცია საზღვარგარეთ
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	<ul style="list-style-type: none"> <li>√ Innovative Bio-Medical Technologies</li> <li>√ Umeå University</li> <li>√ King's College London</li> <li>√ San Francisco State University</li> <li>√ University of Leicester</li> <li>√ Missouri University of Science and Technology</li> <li>√ University of L'Aquila</li> <li>√ State University of New York</li> <li>√ University of Lund, Stem Cell Center</li> <li>√ Thayer School of Engineering at Dartmouth</li> <li>√ University of Versailles St-Quentin en Yvelines</li> </ul>
ასოციაცია CCU (კროს-კულტურული უნივერსუმი)	√ European University Viadrina Frankfurt (ODER)
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	<ul style="list-style-type: none"> <li>√ Goethe University Frankfurt</li> <li>√ The Université catholique de Louvain</li> <li>√ UMBC/GPHI at NASA Goddard Space Flight Centre</li> <li>√ North Carolina State University, Marine Earth and Atmospheric sciences Department</li> <li>√ The Ohio State University</li> </ul>

\* 2015 წელს აღნიშნული კონკურსი არ გამოცხადებულა.

გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება	√ Indiana University
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	√ The Institute of Theoretical and Applied Mechanics, Academy of Sciences of the Czech Republic
გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი	√ Hinman Consulting Engineers
საქართველოს ქალთა და ბავშვთა დაცვის კავშირი	√ City of Hope- Cancer Hospital
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	√ University of Quebec in Chicoutimi
ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი	√ Jacobs University Bremen

### 2013 წელი

კვლევითი ინსტიტუცია საქართველოში	კვლევითი ინსტიტუცია საზღვარგარეთ
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	√ Academy of Sciences of the Czech Republic √ The University of Pittsburgh √ The University of Sydney √ The University of Cape town √ Malmö University √ Saint Peterburg University √ Fermi National Accelerator Laboratory
საქართველოს კარდიოვასკულური და ინტერვენციული რადიოლოგიის ასოციაცია	√ The University of Burgundy
ხელნანერთა ეროვნული ცენტრი	√ Ca' Foscari University of Venice
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	√ Institut Pasteur, Paris
საქართველოს ნევროლოგიური ფორუმი	√ Suburban Hospital, Jon Hopkins Medicine Bethesda MD
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	√ The University of Barcelona

## 2014 წელი


კვლევითი ინსტიტუცია საქართველოში	კვლევითი ინსტიტუცია საზღვარგარეთ
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ Forschungszentrum Juelich</li> <li>✓ CERN – the European Organization for Nuclear Research</li> <li>✓ The Hebrew University of Jerusalem</li> <li>✓ University of Münster</li> <li>✓ Université de Versailles</li> <li>✓ Joint Institute for Nuclear Research</li> <li>✓ Novartis Institutes for BioMedical Research</li> </ul>
გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი	✓ Brookhaven National Laboratory
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	✓ The University of Lund
ხელნანერთა ეროვნული ცენტრი	✓ The University of Warsaw
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ The Israel Electric Corporation</li> <li>✓ Lawrence Livermore National Laboratory</li> </ul>

## 2016 წელი

კვლევითი ინსტიტუცია საქართველოში	კვლევითი ინსტიტუცია საზღვარგარეთ
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ King's College London</li> <li>✓ New Mexico State University</li> <li>✓ Ariel University</li> <li>✓ GENOME INSTITUTE OF SINGAPORE</li> </ul>
ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი	✓ Rensselaer Polytechnic Institute
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	✓ The University of Zielona Góra
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ Queen Mary University of London</li> <li>✓ Nasa Goddard Space Flight Center</li> </ul>
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	✓ The University of Bonn
აკაკი წერეთლი სახელმწიფო უნივერსიტეტი	✓ Lomonosov Moscow State University
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	✓ Goethe University of Frankfurt
კროს-კულტურული უნივერსუმი	✓ Center for Literature and Cultural Research Berlin



### საქართველოს მეცნიერთა საერთაშორისო თანამშრომლობა ქვეყნების მიხედვით (SRNSF კონკურსის შედეგების გათვალისწინებით, 2011-2016)



### საქართველოს სამეცნიერო ინსტიტუციების ერთობლივი კვლევითი პროექტები სამეცნიერო დიასპორასთან



■ საქართველოს ფარგლებს შიგნით არსებული ინსტიტუციები



## სამეცნიერო დიასპორის განვითარების პროცესში ჩართვის ხელშემწყობი და შემაფერხებელი ფაქტორები

ისეთ პირობებში, როდესაც ხელმისაწვდომი გახდა საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ფართო შესაძლებლობები და გამოწვევების საპასუხოდ არსებობს კვალიფიციურ თანამემამულეთა ხანგრძლივი გამოცდილება საქართველოს ფარგლებს გარეთ, ქართული დიასპორის აქტიური ჩართულობა წინ წასწევს ქვეყანას სამეცნიერო სფეროს ინტერნაციონალიზაციის გზაზე. გარკვეული მექანიზმებით ხდება კვალიფიციურ თანამემამულეთა თანამშრომლობის ხელშეწყობა, მაგრამ უმჯობესია ძალისხმევა გაიზარდოს. **შეზღუდული ფინანსური რესურსების და დროის დეფიციტის კვალობაზე, იმ მეცნიერთა/სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელთა (Principal Investigators) გამოცდილება, ვისაც უკვე აქვს ევროპისა და ამერიკის პროგრამებში მუშაობის მდიდარი პრაქტიკა, შეუცვლელია.**

საქართველოს კვლევით ცენტრებსა თუ სამეცნიერო ინსტიტუტებს აქვთ მზარდი საერთაშორისო თანამშრომლობა განვითარების პერსპექტივით. ინსტიტუტები დასავლეთის წამყვან კვლევით ცენტრებთან თუ მეცნიერების მხარდამჭერ ორგანიზაციებთან ერთად ახორციელებენ კოლაბორაციულ პროექტებს. თუმცა, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის **სახელმწიფო სტრატეგიის უქონლობა** წარმოადგენს მნიშვნელოვან ხარვეზს.

პროექტის ფარგლებში „აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნების მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი“ – **IncoNet EaP<sup>16</sup>** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თხოვნის შესაბამისად, მომზადდა საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიის და ინოვაციის სისტემის პოლიტიკის საექსპერტო ანალიზი/კვლევა – **‘Policy Mix Peer Review of the Georgian STI system’**. კვლევა განახორციელა ხუთი ექსპერტისაგან შემდგარმა საერთაშორისო გუნდმა<sup>17</sup>, რომელიც 2015 წლის პირველ ნახევარში ეწვია საქართველოს, შეხვედრები გამართა შესაბამის ჯგუფებთან და გაეცნო საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის სისტემასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. ექსპერტთა რეკომენდაციის მიხედვით, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციის (STI) სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისას **დონორი ორგანიზაციების მონაწილეობა არის მაღალი. სასურველია, ქვეყანამ შეამციროს დონორებზე დამოკიდებულების ხარისხი და შეიმუშავოს საკუთარი პრიორიტეტებისაკენ მიმართული სტრატეგია.**

კიდევ ერთი ძირითადი რეკომენდაცია, რომელიც **Policy Mix Peer Review** დოკუმენტშია წარმოდგენილი შეეხება საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესში საქართველოს დიასპორის გააქტიურებას:

*‘To devote a particular attention in the cooperation with the national diaspora in the context of the international cooperation activities’ (გვ. 24).*

<sup>16</sup> პროექტის ვებ-გვერდი <http://www.inco-eap.net>

მსგავს თემაზე განახლებული პროექტის – EaP PLUS ვებგვერდი: <https://www.eap-plus.eu>

<sup>17</sup> დამოუკიდებელ ექსპერტთა საერთაშორისო გუნდის შემადგენლობა:

**დოქტორ ჯორჯ ბონასი**, გუნდის ლიდერი

რეგიონული და საერთაშორისო კვლევის ცენტრი (Centre for Regional and International STI Studies and Support, CeRISS), მმართველი დირექტორი, საბერძნეთი;

**ადრიან კურაჟი** – გუნდის წევრი,

უმაღლესი განათლების, კვლევის განვითარებისა და ინოვაციების დაფინანსების აღმასრულებელი ორგანო UEFISCDI, გენერალური დირექტორი, რუმუნეთი;

**ფელიქს გადიუშეკი** – გუნდის წევრი

სოციალური ინოვაციის ცენტრი (Centre for Social Innovation, ZSI), პროექტის მენეჯერი, ავსტრია;

**პროფ. ვიქტორ ნედოვიჩი** – გუნდის წევრი

სერბეთის რესპუბლიკის განათლების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიური განვითარების სამინისტრო, მინისტრის თანამდგმელი;

**მაიკლ შლიხტი** – გუნდის წევრი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის განათლებისა და კვლევის სამინისტრო (BMBF), კვლევის პოლიტიკისა და განვითარების დეპარტამენტის დირექტორი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა;

**იანის კეჩაგაიარასი** – გუნდის ასისტენტი.

CeRISS, პროექტის მენეჯერი, საბერძნეთი.

როდესაც საქმე ეხება ცალკეულ მეცნიერებსა და კვლევით ჯგუფებს შორის თანამშრომლობას, ერთობლივი პროექტების განვითარებას, ე.წ. **bottom up approach** – გრძელვადიან პერსპექტივას სახავს და დამოუკიდებელი, სტაბილური თანამშრომლობის საფუძველი ხდება. ცხადია, სახელმწიფოს მიერ მხარდამჭერი მექანიზმები კიდევ უფრო მეტად დაეხმარება ასეთი თანამშრომლობის დამყარებას, მაგრამ კვლევითი ცენტრები, უნივერსიტეტები უნდა გააქტიურდნენ ამ მიმართულებით, მოიზიდონ საზღვარგარეთ წამყვან ინსტიტუციებში მოღვაწე მეცნიერები და მათთან თანამშრომლობის გზით განავითარონ ინტერდისციპლინური საერთაშორისო კვლევითი თუ საგანმანათლებლო პროექტები.

რიგ შემთხვევებში დიასპორის ჩართულობის გასაძლიერებლად ინიცირებული მასშტაბური პროექტები პოლიტიკური გარემოებების, ეკონომიკური მდგომარეობის თუ სხვადასხვა ცვლილების შედეგად, წარუმატებლად მთავრდება. ე.წ. **Top down approach** – ანუ სამთავრობო უწყებების ინიციატივები გარვეული დროის განმავლობაში მუშაობს, აქვს მოკლევადიანი შედეგი, მაგრამ ძალისხმევის

მიუხედავად, მდგრადი შედეგის მიღება ვერ ხერხდება. ეს დამახასიათებელია მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, სადაც სამთავრობო ინიციატივების განსახორციელებლად კარგად მომზადებული საფუძველი არ არის.

კოლუმბიის მთავრობამ 2013 წელს საფუძველი ჩაუყარა პროგრამას – **Es Tiempo de Volver** (დაბრუნების დროა), რომელიც მიზნად

პროექტის **IncoNet Eap** ფარგლებში 2016 წლის ივნისში ავსტრიაში ქ. ვენაში გაიმართა სამუშაო შეხვედრა სახელწოდებით „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სამეცნიერო დიასპორის იდენტიფიცირება და ჩართულობა“. შეხვედრას ესწრებოდნენ მეცნიერების სფეროში ჩართული ინსტიტუციების წარმომადგენლები როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან, ასევე ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან. მონაწილეებმა იმსჯელეს სამეცნიერო დიასპორასთან ურთიერთობის გამოწვევებზე, სისტემურ სირთულეებზე და მათი დაძლევის გზებზე. დასახელდა რეგიონისთვის შემდეგი საერთო პრობლემატური საკითხები:

- თანმიმდევრული და გრძელვადიანი პოლიტიკის არარსებობა,
- დიასპორის მხრიდან სახელმწიფოს ფრაგმენტული ინიციატივების მიმართ დაბალი ნდობა,
- სუსტი კავშირები მაღალკვალიფიციურ დიასპორასთან,
- ხარვეზები მონაცემთა შეგროვების დროს,
- დაფინანსების ნაკლებობა ეფექტიანი პროგრამების განსახორციელებლად,
- სუსტი კოორდინაცია.

აღინიშნა, რომ დიასპორასთან რეგულარული კომუნიკაცია, სისტემური ხასიათის ინიციატივების გატარება, რეალური შესაძლებლობების შეთავაზება და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობები საზღვარგარეთ მცხოვრებ მაღალკვალიფიციურ მიგრანტებთან დიდწილად შეუწყობს ხელს სახელმწიფოსა და დიასპორას შორის ნდობის გამყარებას და წარმატებულ თანამშრომლობას.

ხაზგასასმელია, რომ 2017 წლის განმავლობაში იგეგმება 6 დიასპორული კონფერენციის ჩატარება აღმოსავლეთ პარტნიორობის თითოეულ ქვეყანაში, რომელიც მაღალკვალიფიციური მიგრანტების ჩართულობის გაძლიერებას დაეთმობა. საქართველოში სამეცნიერო დიასპორის თემაზე კონფერენცია დაგეგმილია 2017 წლის შემოდგომაზე.

ისახავს კოლუმბიელი მეცნიერებისა და აკადემიური პერსონალის სამშობლოში დაბრუნებას და ადგილობრივ კვლევით ცენტრებში ინტეგრაციას. „თუმცა, პროექტს გარკვეული ლოჯისტიკური და ფინანსური პრობლემები შეექმნა განხორციელების პირველი 2 წლის განმავლობაში, ასევე სირთულეები შეექმნა საზოგადოებაში ნდობის მოპოვების, სამეცნიერო დიასპორის მხრიდან მონაწილეობის სურვილის თვალსაზრისით“ (iNVESTIGA: Connecting the Colombian Scientific Diaspora with Secondary Schools in Colombia – საკონფერენციო მასალებიდან)

### გამოყენებული მასალა:

- საქართველოსა და ევროკავშირის შორის ევროკავშირის პროგრამაში „ჰორიზონტი 2020 – კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა (2014-2020)“ საქართველოს მონაწილეობის შესახებ“ შეთანხმება.
- [საქართველოს პარლამენტის დადგენილება](#) საქართველოსა და ევროკავშირის შორის ევროკავშირის პროგრამაში „ჰორიზონტი 2020 – კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა (2014-2020)“ საქართველოს მონაწილეობის შესახებ“ შეთანხმების რატიფიცირების თაობაზე.
- საქართველოს მთავრობის განკარგულება #2677 ევროკავშირისა და საქართველოს შორის ევროკავშირის პროგრამა „ჰორიზონტი 2020 – კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამაში (2014-2020)“ საქართველოს მონაწილეობის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერის თაობაზე.
- საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიის და ინოვაციის სისტემის პოლიტიკის საექსპერტო ანალიზი/კვლევა – ‘Policy Mix Peer Review of the Georgian STI system’
- Information Exchange in Science and Technology between the European Research Area and Eastern European/Central Asian Countries (incrEAST). GEORGIA Country Report (last updated: October 2014, source: SRNSF).
- ჩანაწერები სამეცნიერო დიასპორის კონფერენციიდან, ავსტრია. ქ. ვენა. <https://www.zsi.at/en/object/event/4243>
- Working paper – Promoting Diaspora Engagement: What Have We Learnt? Malin Frankenhaeuser & Marion Noack [http://www.migration4development.org/sites/default/files/promoting\\_diaspora\\_engagement.pdf](http://www.migration4development.org/sites/default/files/promoting_diaspora_engagement.pdf)
- თანამემამულეთა მონაწილეობით საგრანტო კონკურსის დებულება და შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტები:
  - [2011 წლის კონკურსის შედეგები](#):
  - [2012 წლის შედეგები](#):
  - [2013 წლის შედეგები](#):
  - [2014 წლის შედეგები](#):
  - [2016 წლის კონკურსის გამოცხადება](#):
  - [2016 წლის კონკურსის შედეგები](#):
- Potentialities and limitations of the Caldas network of Colombian researchers abroad: case studies of joint international projects (PDF Download Available). Available from: [https://www.researchgate.net/publication/32972024\\_Potentialities\\_and\\_limitations\\_of\\_the\\_Caldas\\_network\\_of\\_Colombian\\_researchers\\_abroad\\_case\\_studies\\_of\\_joint\\_international\\_projects](https://www.researchgate.net/publication/32972024_Potentialities_and_limitations_of_the_Caldas_network_of_Colombian_researchers_abroad_case_studies_of_joint_international_projects) [accessed Mar 25, 2017].
- iNVESTIGA: Connecting the Colombian Scientific Diaspora with Secondary Schools in Colombia (PDF Download Available). Available from: [https://www.researchgate.net/publication/298423413\\_iNVESTIGA\\_Connecting\\_the\\_Colombian\\_Scientific\\_Diaspora\\_with\\_Secondary\\_Schools\\_in\\_Colombia](https://www.researchgate.net/publication/298423413_iNVESTIGA_Connecting_the_Colombian_Scientific_Diaspora_with_Secondary_Schools_in_Colombia) [accessed Mar 25, 2017].
- OECD publication – Connecting with Emigrants – A Global Profile of Diasporas” (2012).
- Global Diasporas, Robin Cohen, Routledge, second edition, 2008

<sup>18</sup> ვრცალდ იხილეთ OECD პუბლიკაცია

